სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 4 21 0000656496

01/07/2021

სტრუქტურული რეორგანიზაციისა და კონკურსის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - საქართველოს შრომის კოდექსის, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე, 54-ე და 55-ე მუხლების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, „სტუ-ის ადმინისტრაციის სტრუქტურული რეორგანიზაციის, ადმინისტრაციის სტრუქტურის, საშტატო ნუსხისა და ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობის დამტკიცების შესახებ“ სტუ-ის აკადემიური საბჭოს და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2021 წლის 30 ივნისის #01-05-17-01 ერთობლივი დადგენილების და „სტუ-ის ფაკულტეტების სტრუქტურის, საშტატო ნუსხისა და ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობის დამტკიცების შესახებ“ სტუ-ის აკადემიური საბჭოს და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2021 წლის 30 ივნისის #01-05-17-02 ერთობლივი დადგენილების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ეკონომიკური გარემოებების, ტექნოლოგიური და ორგანიზაციული ცვლილებების გათვალისწინებით, განხორციელდეს უნივერსიტეტის ფაკულტეტების და ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების რეორგანიზაცია.
2. დამტკიცდეს დამხმარე პერსონალის მიმართ საკვალიფიკაციო მოთხოვნები დანართის შესაბამისად (დანართი 1).

3. უნივერსიტეტის დამხმარე პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენისა და საუკეთესო მონაცემების მქონე კანდიდატის შერჩევის მიზნით, გამოცხადდეს შიდა კონკურსი დანართით განსაზღვრულ თანამდებობებზე (დანართი 2).
4. უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტმა (ხ.ჩხიკვიშვილი) უზრუნველყოს:
ა) საქართველოს შრომის კოდექსის 48-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების დამხმარე პერსონალის გაფრთხილება რეორგანიზაციისა და მასთან დაკავშირებული თანამშრომელთა მოსალოდნელი დანიშვნის, გადაყვანის (ჰორიზონტალური ან კარიერული განვითარება), დაქვეითების ან თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე;
ბ) 2021 წლის 10 ივლისამდე სამსახურში მიღების წესის შესაბამისად კონკურსის ჩასატარებლად საჭირო ღონისძიებების (ინფორმაციის/საკონკურსო თემატიკის გამოქვეყნება, გასაუბრების კითხვარების/ტესტების მომზადება და სხვ.) განხორციელება;
გ) რეორგანიზაციასთან დაკავშირებით კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საჭირო ღონისძიებების განხორციელება.
5. შეიქმნას უნივერსიტეტის ადმინისტრაციის დამხმარე პერსონალის საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:
დავით მახვილაძე უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, კომისიის თავმჯდომარე;
თამაზ ურთმელიძე უნივერსიტეტის აღრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;
დავით გორგიძე უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;
მიხეილ რამაზაშვილი უნივერსიტეტის პროფესიული კავშირის თავმჯდომარე; კომისიის წევრი;
ხათუნა ჩხიკვიშვილი ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი, კომისიის მდივანი.
6. შეიქმნას უნივერსიტეტის ფაკულტეტების დამხმარე პერსონალის საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:
იაშა კუტუბიძე უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მდივანი, კომისიის თავმჯდომარე;
ბექა მაისურაძე უნივერსიტეტის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;
დევი ხვედელიანი სტუ-ს რექტორის მრჩეველი საერთაშორისო ურთიერთობის საკითხებში, კომისიის მდივანი;
თემურ ბულია სტუ-ს ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის მენეჯერი, კომისიის წევრი.
7. შეიქმნას საპრეტენზიო კომისია შემდეგი შემადგენლობით:
ირაკლი გაბისონია უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი, კომისიის თავმჯომარე;
გიორგი აბრამიშვილი უნივერსიტეტის სასწავლო-მეთოდური დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;
თამარ წერეთელი უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის უფროსი, კომისიის მდივანი.
8. კომისიამ იხელმძღვანელოს „დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესის შესახებ“ სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2016 წლის 29 ივნისის #12 სხდომის #1 დადგენილებით დამტკიცებული წესით.
9. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს უნივერსიტეტის პერსონალს, აგრეთვე უნივერსიტეტის სტუდენტს - ლაბორანტის პოზიციაზე, რომელიც აკმაყოფილებს დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

10. კონკურსში მონაწილე მსურველ პირთა განაცხადები მიიღება 2021 წლის 06 ივლისიდან 12 ივლისის ჩათვლით, შესაბამის საკონკურსო კომისიაში უნივერსიტეტის კანცელარიის მეშვეობით. კონკურსანტები ვალდებულნი არიან გასაუბრების ეტაპის დაწყებამდე უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტში წარმოადგინონ სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობა და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა.
11. კონკურსი ჩატარდეს ორ ეტაპად - კომპიუტერთან მუშაობის პრაქტიკული უნარ-ჩვევების შემოწმება (I ეტაპი) და გასაუბრება (II ეტაპი).
12. საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად კონკურსანტების კომპიუტერთან მუშაობის პრაქტიკული უნარ-ჩვევების შემოწმება განხორციელდეს უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრში(თ.ჟვანია). საგამოცდო ცენტრმა უზრუნველყოს შესაბამისი დავალებების მომზადება და შედეგების წარმოდგენა.
13. კონკურსის პირველი ეტაპი ჩატარდეს 2021 წლის 15 ივლისს და შედეგები გამოქვეყნდეს 2021 წლის 16 ივლისიდან 19 ივლისის ჩათვლით.
14. კონკურსის პირველი ეტაპის შედეგების თაობაზე საპრეტენზიო განაცხადები მიიღება 2021 წლის 21 ივლისის ჩათვლით საპრეტენზიო კომისიაში უნივერსიტეტის კანცელარიის მეშვეობით.
15. გასაუბრება ჩატარდეს 2021 წლის 19-29 ივლისს. კონკურსანტებისათვის გასაუბრების კონკრეტული ვადების თაობაზე დამატებითი ინფორმაცია გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
16. კონკურსის შედეგები გამოქვეყნდეს არა უგვიანეს 2021 წლის 30 ივლისისა.
17. პრეტენზიების თაობაზე განაცხადები მიიღება 2021 წლის 02 აგვისტოს ჩათვლით, საპრეტენზიო კომისიაში უნივერსიტეტის კანცელარიის მეშვეობით.
18. კონკურსის საბოლოო შედეგების წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 2021 წლის 06 აგვისტო.
19. კონკურსში გამარჯვებულ პირებთან შრომითი ურთიერთობის დაწყების ვადაა 2021 წლის 09 აგვისტო.
20. პანდემიასთან დაკავშირებით კონკურსანტის გამოუცხადებლობა ჩაითვლება საპატიოდ შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში და დამატებით, ინდივიდუალურად მოხდება კონკურსანტის დაშვება კონკურსის ეტაპებზე, არა უგვიანეს კონკურსის ვადის დასრულებისა.
21. ბრძანება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე და მისი გაცნობა სტრუქტურული ერთეულებისათვის უზრუნველყოს სტუ-ს კანცელარიამ.
22. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე უზრუნველყოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა (კ.კოპალიანი).
23. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, #64).

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
რექტორი დავით გურგენიძე